სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტი

პროფესორი ბადრი არზიანი
დეპარტამენტის ხელმძღვანელი



ასოცირებული პროფესორი ლიანა გოგუა



ასოცირებული პროფესორი ხათუნა ბარბაქაძე

ასოცირებული პროფესორი ირმა ჯინიყაშვილი

ასისტენტ-პროფესორი გიორგი ანთია

სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტი

ასისტენტ-პროფესორი ლელა კვინიკაძე



ასისტენტ-პროფესორი ელიზავეტა ცხაკაია

სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტი

ჯანდაცვის დარგის სტუდენტთათვის ქიმიის სწავლება საქართველოში დასაბამს იღებს XX საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც 1918-1919 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსდა არაორგანული და ორგანული ქიმიის კათედრები. მათ სათავეში ჩაუდგნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები პეტრე მელიქიშვილი და იასონ მოსეშვილი. სამედიცინო ინსტიტუტის გამოყოფის შემდეგ აღნიშნულ კათედრებს და მათ მემკვიდრე აკადემიურ ერთეულებს განაგებდნენ ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები ნ. ციციშვილი, ა. ჩხენკელი, მ. შალამბერიძე, თ. ფიჩხაია, ე. მაჭარაშვილი, ა. შველაშვილი, ო. გაბრიჩიძე. ამჟამად დეპარტამენტს ხელმძღვანელობს პროფესორი ბადრი არზიანი.

თანამედროვე სახით, სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტი ჩამოყალიბდა 2008 წელს ბიოქიმიის დეპარტამენტის სამედიცინო ქიმიის მიმართულების ბაზაზე.

დეპარტამენტში სწავლება მიმდინარეობს სამედიცინო უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ფარმაციის ფაკულტეტისათვის ისწავლება შემდეგი დისციპლინები: ზოგადი და არაორგანული ქიმია, ორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ფიზიკური და კოლოიდური ქიმია. დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ მომზადებული და გამოცემულია სამედიცინო და ფარმაცევტული პროფილის სტუდენტებისათვის განკუთვნილი მრავალი სახელმძღვანელო.

სამედიცინო ქიმიის დეპარტამენტის სამეცნიერო მუშაობის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს ენდემური მცენარეული ნედლეულიდან ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტების მიღება, თვისებების შესწავლა და ქემოინფორმატიკული მოდელირება სამკურნალო - საკვები დანამატების შექმნისა და გაუმჯობესების მიზნით.